

# ლიცენზირებული საშუალო



საშუალოს მუნიციპალიტეტის ბაზეთი „საშუალოს მოამბის“ ღამატიკა  
№11, 30 ნოემბერი, პარასკევი, 2018 წელი

## სმა 90-ანი წლებიდან

### დედას ნუ შეიგინებთ, ბიჭებო!

გოგო-ბიჭებო!

ყველაზე მეტად, ხომ ჩვენ გვიყვარს და გვიხარია სიცოცხლე, აფეთქებული კვირტები და აღმიღებული მზე, თუმცა, გულწრფელი ღიმილი და სიხარული დაიკარგა, რა ხანია... მზეც დაივიწყეს ადამიანებმა, გაფერმკრთალებულ სამყაროში, ჩამოძონძილი დღეების ფონზე თითქოს აღარ დარჩა ღამაზსა და ამალღებულზე ფიქრის სურვილი.

უფროსი თაობა ხშირად გვიმეორებდა:

„თქვენ გაჭირვება არ გინახავთ!“ – დღეს კი, ალბათ, იგივეს ვეღარ გვეტყვიან, რადგანაც უმძაფრესი ტკივილი გვხვდა წილად. ცრემლი, სისხლი, ერთგულების, ურთიერთ დანდობის დეფიციტი, ფიზიკური თუ სულიერი შიმშილი თითქოს, განაჩენივით დაგვატყდა თავს და სულის ფსკერზე დაიღეჯა...

ალბათ, საჭიროც იყო რაღაც გამომაფხიზლებელი ბიძგი, სულს რომ ააფორიაქებდა და სხვაგვარი ფიქრისა და განსჯის უნარს შეგვძენდა. ახალ აზროვნებასა და ქმედებას დაედებოდა სათავედ...

მაგრამ, ნუთუ უდიდესი მსხვერპლის ფასად?!

და ახლა, როდესაც უფსკრულზე გადებული ბენვის ხიდივით ირყევიან მოვლენები და მონაცვლეობენ, როცა თითოეული დღე ისტორიის ქარტეხილებს მოაგორებს აბორგებულ მდინარესავით, ვინ უნდა გასცეს სწორი პასუხი კითხვის ნიშნად აღმართულ სინამდვილეს? – თუ არა ჩვენ, ჩემო გოგო-ბიჭებო. ეს ჩვენი უპირველესი და ურთულესი საზრუნავია.

და, მაინც, დანაღმული ყოფიერების თავსასთუმალთან, ამღვრეული დღეების მიღმა ისევ გვიხმობს ცხოვრების თვალ-ხატულა გაზაფხული. ჩვენ ხომ ასე ძალიან გვიყვარს იგი. ჩვენი ღიმილი

შერჩენია თითოეულ კუთხე-კუნჭულს, ჩემო გოგო-ბიჭებო, ბიჭებო, ჩემო ბიჭებო! ვიცი, ნაადრევად, მოულოდნელად აღმოჩნდით უმკაცრესი ცხოვრებისეული გამოცდის წინაშე, მაგრამ ერთს გთხოვთ: დედას ნუ შეიგინებთ, ნუ ნაბილწავთ ღვთისგან ბოძებულ წყალობას, ახალ სიცოცხლეს რომ ბადებს... განა ამაზე უფრო თბილი და კარგი აღარაფერი გემეტებათ? თუ ესეც ერთგვარი „მოდური“, ღრმად გამჯდარი ტერმინია მხოლოდ? „ჩემი დედა...“-ო, რომ იცოდეთ, როგორ ღაზვრად ესობა გულს და სულს ეს სიტყვები!

დაფიქრდი, ჩემო ქართველო ბიჭო, დაფიქრდი, თუ ჩემი ძმა ხარ, დედას გაფიცებ და, წუთით მაინც, გადაავლე თვალი წარსულის ლაბირინთებს და მაშინ მიხვდები, რომ ისტორიას აგინებ, წინაპრების ძვლებს და ქართველი დედის წმინდა მანდილს (ჩემზე არაფერს ვამბობ).

ნუ გამიბრაზდები, მხოლოდ გულისტკივილი გითხარი ჩემი...

მეც შევეცდები, საგინებელი არ გავხდე, დაგიმტკიცო ჩემი ქართველ-ქალობა, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ჩვენი დიდი დედების აჩრდილები დავინახო და მახსოვდეს, ვისი გორისაც ვარ. მეც, ლალი და თავანუელი, ამაყად ჩავურონინებ ქუჩებს და აღარაფრის შემეშინდება, რადგან შენ იქნები ჩემი კდემისა და სინმინდის დამცველი...

**„მთელი სამყარო უსასრულო ღვთის ტაძარია“...** და ჩვენ ვართ ამ ტაძრის ბინადარნი, ჩვენ – ჩემო ხატულა გოგო-ბიჭებო, ტაძრისა, რომელსაც სიყვარულით მოვლა-პატრონობა სჭირდება, რათა თავზე არ ჩამოგვექცეს.

მე თქვენ მიყვარხართ, მე მჯერა თქვენი, ჩემო გოგო-ბიჭებო!”

**„ოთხმოცდაათიანელი“**

# ლიტერატურა



ალექსი ლიხაძე

## ყოველი დაღამება სიკვდილია, გათენება – დაბადება!

(ანდერძი შვილს)

იარე, იცხოვრე ისე, როგორც ცხოვრობენ მრავალნი ამქვეყნად – მშვიდად და აუმღვრევლად, მაგრამ ეს კი იცოდე:

რომ ყოველი შენი ნაბიჯი, ყოველი დღედატვირთული უნდა იყოს ფიქრითა და განსჯით, მოყვასისადმი სიკეთისა

და სიყვარულის მიგების სურვილით, ღვთისადმი მოკრძალებითა და ერთგულებით, სათნოებითა და სულის გაუნელებელი წვართით, იმის კარგად გააზრებით, რომ ამქვეყნად მიწის საქელად არ ხარ მოსული, რომ შენი წილი ღვთიური მისია გაქვს აღსასრულებელი და მომავალ თაობათათვის კაცთმოყვარეობის ჩაუქრობელი, გიზგიზა ჩირაღდანი გადასაცემი...

რომ დროსტარება და უზრუნველი ცხოვრება თავქარიანთა და შეურაცხადთა თვისებაა მხოლოდ.

რომ ერთი მთელს შეადგენს ყოველთვის და შენს გასაკეთებელს სხვა ვერასოდეს გააკეთებს.

რომ ადამიანთა ერთიან ძალას შეუძლია ყოველგვარი დაუძლეველი დაძლიოს, ამ ერთიანობისთვის კი წრფელი და მოყვარული გულია საჭირო.

რომ ყოველი დაღამება სიკვდილია, ხოლო გათენება – დაბადება. რომ ღმერთი ყოველთვის გვაძლევს საშუალებას, გამოვისყიდოთ ცოდვანი ჩვენი და ხვალ უკეთესნი ვიყოთ, ვიდრე დღეს ვართ.

რომ ინსტინქტებით ცხოვრება ცხოველთა ხვედრია მხოლოდ და, თუ მათ „ეპატიებათ“ ეს საქციელი, – კაცთათვის ღვთის სასჯელად შეიძლება ჩაითვალოს.

რომ სიკეთის ქმნა გადამდებია და შენი საქციელით სხვა უამრავი შეიძლება მოაქციო ჭეშმარიტ გზაზე.

რომ, ალბათობის თეორიის თანახმად, შენს ნაცვლად, სხვა შეიძლება და გაჩენილიყო და, რადგან შენ გერგო ეს მისია, გაათქვამული ენერგიით აღასრულე ადამიანური ვალი შენი.

რომ კარგად უნდა გაახილო გონების ყველგან მჭვრეტელი თვალი, რადგან ვიზუალური სამყარო მარტო თვალთაგან არ აღიქმება.

რომ სილამაზე ყველაფერშია და მხოლოდ შემჩნევა უნდა, ხოლო თუ შენ ვერ შეამჩნევ, სხვას სთხოვე დახმარება, რადგან ამქვეყნად ყველაფრის სწავლა და მიღწევა შესაძლებელია.

რომ ეს ერთი დღე შეიძლება, ბოლო აღმოჩნდეს ჩვენთვის. მაშ, მიიხედე უკან, კარგად დაზვერე განვლილი დღენი, ხარ კი ღირსეულად ვალმოხდილი, რომ თავანთი წარსდგე ღვთის სამსჯავროზე?

რომ მცენარეებსა და ნადირ-ფრინველებს ისევე ეკუთვნის ეს დედამიწა, როგორც შენ და მათ გარეშე ადამიანთა ცხოვრება, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

რომ უდაბნოში, მზით გავარვარებულ ქვიშაზე ლოღიალისას, გაფოთლილი მწვანე ხის დანახვა ისეთივე აუნერვლ სიხარულს მოგანიჭებს, როგორსაც დაკარგული შვილის პოვნისას განიცდის ადამიანი.

რომ გონებასა და ჭკუას თუ არ შეუფარდე შრომისმოყვარეობა და პიროვნული ნება, დაემსგავსები გაზაფხულზე ყვავილებით გადაბარდნილ ხეს, რომელსაც შემოდგომამდე არ მიჰყვება ნაყოფი.

რომ იმაზე დიდი ბედნიერება არა არის რა, როცა ხედავ შენს მოკრძალებულ წვლილს კაცობრიობის ცივილიზაციის ბილიკზე.

რომ მეგობრობის გრძნობა ღვთიური ნიჭია და მას გაფრთხილება უნდა.

რომ არ არსებობს შენგან დასაცინი ადამიანი, რადგან ღმერთმა ყველანი ერთსახოვნად მოგვავლინა ამქვეყნად.

რომ სათნოება და ღვთისმოსაობა ამკობს ადამიანს და არა ლამაზი ხორცი.

რომ პატიება, მიტევება მხოლოდ აგამაღლებს შენ და გაგიიოლებს ღვთის გზაზე დგომას.

რომ შენი საცხოვრისი დედამიწაა და არა ის ფიცრული, სახლს რომ ვუნოდებთ ადამიანები.

რომ ყველაზე დიდი თავმალლობა თავმდაბლობაა და ამის ბრწყინვალე მაგალითია უფალი ჩვენი.

რომ ის მინა-წყალი, რომელზეც დგახარ მყარია იმიტომ, რომ შენი გმირი წინაპრების ძვლებითა არის გამაგრებული და გადაუხდელი ვალი გადევს მათი.

რომ თვითკმაყოფილება ყველაზე დიდი სენია ადამიანის, რადგან ჩვენ ამის მიზეზი არ გაგვაჩნია.

რომ არა ჩხუბითა და დაცინვით, არამედ კაცური საქციელით იყავი მაგალითი უწვრთნელთათვის.

რომ არასოდეს გაიტეხო გული, თუ სიკეთეს ბოროტებით გადაგიხდიან – მითუმეტეს, არც შენ არ ხარ ამ მხრივ, იშვიათი გამოჩვეულისი. გახსოვდეს, ადამიანებს სიკეთის მიმართ მოკლე მასსოვრობა გვაქვს, ხოლო ცუდის მიმართ დიდი.

რომ ადამიანის სიცოცხლე ადამიანის გარეშე, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

რომ ყველაფერი დროებითი და სწრაფმავალია ცისქვეშეთში. თუმცა, ბუნებაში „არაფერი უკვალოდ არ იკარგება“ – ჩვენგან დარჩენილი კეთილი აურა მომავალი ცივილიზაციების დადებითი მუხტია, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი.

რომ იმიტომ კი არ ქუხს და გრგვინავს ზეცა, რათა შეგვაშინოს, ციური მანანა იფრქვევა მისგან დედამიწაზე, რათა ჯეჯილი აღმოცენდეს და მოგცეს ჩვენი პური არსობისა... ასევე, შენი განრისხებაც კეთილ საქმეთა აღსრულებას უნდა ემსახუროს მხოლოდ!

რომ ყოველი წამის უნდა გჯეროდეს, რადგან წამებით შედგება მარადისობა.

რომ თუ დედამიწას არ მივაგებთ პატივს, მაშ როგორღა გვეყვარება უფალი ჩვენი?!

რომ უბრალო ქვაში მეტი სამყაროსეული დანიშნულებაა, ვიდრე გულქვა ადამიანში.

რომ ყველას მოატყუებ ამქვეყნად, ღმერთისა და საკუთარი სინდისის გარდა.

რომ ღიმილის მომგვრელია ყველა ძეგლი და ზე-წარწერა საფლავის ბორცვზე, გარდა ერთისა: „აქ განისვენებს ყველაფერი და არაფერი.“

რომ მუდმივი მხოლოდ ღმერთია!

რომ, თუ შენს ფონზე, ჭიანჭველა საცოდავ უბადრუკობად გეჩვენება, დაფიქრდი – შენ ვინ ხარ, ზენა არსთან შედარებით!

რომ კაცურკაცობა და ვაჟკაცობა ღვთიური თავმდაბლობაა მხოლოდ.

...და ბოლოს, კარგად გახსოვდეს, რომ შენი ამა სოფლური „ტანჯვა“ ზღვაში წვეთია, უფლის ჯვარცმასთან შედარებით, რომელიც შენს ტკივილთა შესამსუბუქებლად ეწამა ნებით, გოლგოთის მათზე.

ოცნებამდე ერთი დღით ადრე

ფლოქვების თქარუნი უეცრად მოახლოვდა და, ავარდნილ მტვერთან ერთად, დავლანდეთ ნაბლისფერი ულაყი, რომელმაც წამის ერთი გაელვებით დაფარა გზა-შარა და როგორც გამოჩნდა, ასევე მსწრაფლ მიეფარა მახლობელ კორტოხებს.

კარგა ხანს ვერ მოვწყვიტეთ მზერა ამ გახელებას, ჩვენშიც აჩქროლდა სისხლი, საამო სრბოლას მოწყურებულნი.

ჩუმად მიუყვებით გზას სასაფლაოსკენ, უთქმელად, ჩვენთვის გასაგები დუმილით ვიარებით კარგა ხანს.

საოცარი სილამაზეა ირგვლივ. ჰაერში გაზაფხულის სურნელი ტრიალებს. ფრინველთა გალობა ყოველგვარ საზღვარს სცილდება, სულში გვიძვრება, სიცოცხლეს გვანწყურებს.

მიცვალებულთა საუფლო... საყდრული მდუმარება გამეფებულა ირგვლივ. აქ ყველაფერს წარმავლობის მძაფრი შეგრძნება თანგავს – შეუცნობელი ჟრჟოლის მომგვრელი.

თითოეული საფლავის ქვეშ მთელი ქვეყნიერება მარხიაო, – უთქვამთ. დიახ, კაცის მთელი ცხოვრება, ვისთვის ხანგრძლივია, ვისთვის ხანმოკლე... არსი კი ერთია: როგორ იცხოვრა, რა მისცა ერს, ქვეყანას...

ამ მარადიულ კითხვებზე ყველაზე მართალი პასუხი დიდი მამულიშვილების ცხოვრებაა... დავით აღმაშენებელი, თამარი, ბაგრატ მესამე, ქეთევან წამებულის, პატარა კახი, ბერი თევდორე, დიმიტრი, ექვთიმე, ვაჟა, ილია... აი, არასრული სახელები სამშობლოს სამსახურში ჩაფერფლილი ერისკაცებისა, რომლებმაც წმინდანის ცხოვრებით იცხოვრეს და აღესრულენ.

მთელი მათი ცხოვრება არის შეუპოვარი ბრძოლა და ზესწრაფვა თავისუფლებისაკენ და, ამ ბრძოლაში ხორცდაფლეთილებმა, სამაგალითო როლი შეასრულეს ქართველი ერის სულიერი თუ ეროვნული მრწამსის ამალგებაში.

...ფიქრებიდან გვიან ვერკვევი... უნებურად მისვლვარ ხავსმოდებულ საფლავთან. ხვლიკისფერ ქვიშაში თეთრად ქათქათებს მარმარილოს წარწერიანი ფილა. ვკითხვლობ:

„მონობაში ტანჯულო და დაუფინყარო მამავ, გაიხარე! შენი ნატვრა აღსრულდა, – საქართველო გათავისუფლდა!“ – დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძე. დაიბადა 1846 წლის 25 აპრილს. გარდაიცვალა 1918 წლის 25 მაისს.

შემცბარი, კიდევ ერთხელ ვკითხვლობ... საოცარია! ბევრი ეპიტაფია წამიკითხავს, სევდიანიც, ღიმილის მომგვრელიც, უცნაურიც, მაგრამ მსგავსი – არასოდეს!..

დღეს 26 მაისია, დღე, როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. დავით კაპანაძე კი 1918 წლის 25 მაისს გარდაცვლილა, ერთი დღით ადრე... მისმა შვილებმა საფლავში ჩასძახეს – გაიხარეო... რა არის ეს? – ქართველი კაცის თავისუფლების წყურვილის სიმბოლური ეპიტაფია თუ?..

ერთი კი ცხადია: ჩვენ დიდი სიმართლის წინაშე ვდგავართ...

ეს ერის ქვაა, წმინდა და სათაყვანო, სადაც მონინებით თავი უნდა დავხაროთ...

თავი უნდა დავხაროთ უბრალო გლეხკაცის ხსოვნის პატივსაცემად. იმ კაცისა, რომელსაც სამშობლოს თავისუფლების ცნება ისე ჰქონია ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ სიკვდილის შემდეგაც აგვანთო და აგვაჩქროლა.

და უცებ... გრიგალივით მოაწყდა საფლავს გახელებული ულაყის ქიხინი...

და მცირე ხმაურის შემდეგ, ფლოქვების გრილით გატყორცნილი ისარივით გავარდა თავისუფლების ეს უმანკო შვილი შარაზე.

ჩვენ კი ცადატყორცნილი ბული შეგვატოვა, მეტი ფიქრისა და განსჯისთვის.

\* \* \*

სულს ვერ ვიმორჩილებ, გული ვერ დავძარი, სიმშვიდე თითქოს და არის და არც არი... მოვდივარ წოდვილი და გულდაკოდილი და ლორწვად მიმიღებს სამების ცაძარი, ამერი... იმერი... სულ გულის ფანქაღი. მსურს, იყოს მშვიდობა, – ეს არის რა არის... ფეხზე წულს გავიხდი, ვით დიდი თამარი და ასე მიმიღებს სამების ცაძარი... დილაძე ვილორენ, ხოხვით მუხლომყრილი და სული ლორწვისგან იქნება დამცხრალი... ერო, გაუფრთხილდი! ბერო, დამილორე, – ზარენს აგუგუნებს სამების ცაძარი...

\* \* \*

ჭალა ისევ ცოროტმანებს და წისკარი შორია, თითქოს გათენდებო, – მაგრამ მეგონი, ჯორია... დღე და ღამის ჭიდილში უში მიფლის ნაბიჯებს... სასთუშალოთან მახვილით ღამე საქმეს გამიჩვეს, მერე ტკვილის ალანძავს სევდა განუკურნელი... გადაყვება ნოემბერს გაზაფხულის სურნელი... ქარმა ისევ იმძლავრა, ფიქრი ისე შორია... შენთვის გათენდებო, – მაგრამ მეგონი, ჯორია... იქნებ და, გადავურჩე... დელგმას... ეიფორიას...

\* \* \*

შევაქუჩე ვნებით, როგორც ნამი, დავიმიზნე... მერე კი, ვთქვი: „კმარა!“ თოვდა... თოვდა ისე, როგორც უნინ, ის გუნდა კი, წრემლად დაიღვარა... სველი ფიფქი ქარს მიჰქონდა სადღარე, მტკიოდი და თოვლის ფიფქის მშურდა... გიყურებდი, იდექ სინანულში... გვადნებოდა სულში თოვლის გუნდა... შევაქუჩე, ვნებით როგორც ნამი...

ზოეზია



ლოლო დანელია

\* \* \*

ჩამეკირე... და ზენამ ამიხილა თვალენი... მაგრამ ფარულ ქაოსში მაინც სულ ვიძალენი... კოლხი ამორძალი ვარ, ვერ ვიშუშებ იარენს... როგორც სვავი, ჩემს მამულს, მტერი თავს დასტრიალებს... ძლევის ნიშნად სწორენა, ქირქირენენ ძალენი... ვჭირისუფლოთ ზვარაკენს, ჩვენ – ქართველი ქალენი! დავივინყეთ მარაზდა, ალავერდი ნათელი... ამონვერილო წისკარზე დანთებული სანთელი... დავივინყეთ დიდგორი, ანისს როტნეს გმირობა, წინამურში ილიას გადახსნილი ჭრილოზა... შოთას სიბრძნე, თამარის, ალზევების ეპოქა, თავმოკეთილო პაატას გახსენებარ გვეყოფა!.. მრეხეას ისევ ასტვივდა არსაკიძის ჭრილოზა... წისკრის დარად კიაფობს, ქეთევანის გმირობა... უში ყველას გაშიფრავს, ყველას განსჯის ეს წამი, იზნიქება სადღარე, შორს, როდვის ტევრში ლერწამი... ნუ, ნუ ვრდილოთ მოვირგოთ წრუ გმირების მანტია... საქართველოს არ ავნოთ, – სალორავი ხატია! ჩამეკირე... და ზენამ ამიხილა თვალენი... ვდგავართ დროის პირისპირ ჩვენც, ქართველი ქალენი.

# ემიგრაციის დღიური

# შეხვედრა მწერალთან



მარიკა ბაქრაძე

## ამერიკული ქელები

ამერიკაში ჩამოსვლის დღიდან აქაურ ქელებში მოხვედრა, რაღა დაგიმალოთ და, მართლაც, ძალიან მაინტერესებდა. ორი წლის შემდეგ ამის რულდა სურვილი...

სანამ ჩვენ ლონგ-აილენდში კათოლიკურ ეკლესიამდე მივალნივთ, საეკლესიო წესის აგება მოძღვარს უკვე დაესრულებინა. რომ იტყვიან, სწორედ სულზე მიფუნარით სიტუაციას, თვალებს არ დავუჯერე: ასობით, ერთ რიგში ჩაკინკინებული პატარა მარმარილოს თეთრი ქვებისაგან შემდგარ სასაფლაოს მთლიანად წაეშალა ზღვარი სიკვდილ-

სიცოცხლეს შორის და ამომიტვივებდა მესხიერებაში: "სიკვდილი ყველას ათანასწორებს: თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს" – ამ სასაფლაოზე იყო ზედგამოჭრილი. ერთ ყალიბში ჩამოსხმული, მიჯრით მიწყობილი საფლავების შემხედვარეს, უნებურად ამეკვივებოდა კითხვა: რამდენად რეალური იქნებოდა ჩასასვენებლის განთავსება ერთი გოჯი მიწის ქვეშ?

– თქვენში მიცვალებულებს მჯდომარე პოზაში ხომ არ მარხავენ-მეთქი? – გაკვადნიერდი და ვიკითხე... მაგრამ საკუთარი შეკითხვის უაზრობას მაშინვე მივხვდი, რადგან მუსულმანურ ძვალთშესალაგთან კი არა, ამერიკის ერთ-ერთ, საკმაოდ ცნობილ მილიტარისტულ სასაფლაოზე ვიმყოფებოდი, ცხოვრებული ირენი კი, ნორსინგ ჰომიდან (უპატრონოთა პანსიონატი) პირდაპირ აქ რომ მოაბრძანეს, ყოფილი სამხედრო ფუნქციონერის ქალიშვილი აღმოჩნდა. ამიტომაც ერგო ამ სასაფლაოზე დაკრძალვის პატივი, თორემ, დარწმუნებული ვარ, კრემაცია არ აცდებოდა.

უცებ პროცესია აგურის ერთ მომცრო ნაგებობასთან შეჩერდა, ჩასასვენებელი „ლიმუზინიდან“ გადმოიღეს და იქვე მდგარ ბეტონის გრძელ სკამზე მოათავსეს. მე და ჩემმა თანმხლებმა მანქანიდან გადმოსვლაც ვერ მოვასწარით, რომ შეჯგუფული ხალხი უცებ დაიშალა, მანქანებს მიაშურა და ჭირისუფალთა 32-კაციანმა ჯგუფმა გეზი პირდაპირ რესტორნისაკენ აიღო.

მუხლები მომეკვეთა... გზის პირას უპატრონოდ დატოვებულ კუბოს ვერაფრით ვერ მოვწყდი. თმები არ გამიშლია და სახე არ დამიხიკავს, თორემ გაოგნებისაგან სასონარკვეთილების ზღვარს გადაბიჯებულს, არც არაფერი მაკლდა. გულში დავიტირე ირენი, საკუთარი თავი და ადამის მოდგმა, საერთოდ.

“ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამაო”... ცნობილი ფრაზა ჩაქუჩივით მირტყამდა ტვინში. ცივილიზაციის მწვერვალზე ასული ამერიკელი და, ვინ იცის, იქნებ დანარჩენი მსოფლიოს დახვეწილი ექსისტენცია, იმ წუთებში, ჩემს ცნობიერებაში გზაჯვარედინზე უპატრონოდ მიტოვებული დასამარხი მიცვალებულივით იყო განწირული. იმ წუთებში სიკვდილმაც დაკარგა აზრი ჩემთვის და სიცოცხლემაც. ნუთუ, აქამდე დავიდა ადამიანის ფსიქიკა, რომ საკუთარი მიცვალებული საფლავამდე არ მიაცილა, ერთი მუჭა მიწა არ მიაყარა და შენდობა არ უთხრა?!

როგორც ამიხსნეს, აქ, თურმე, დამკრძალავი ბიურო იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას და გარკვეული გასამრჯელოს ფასად, ყოველგვარ მომსახურებას კისრულობს. თვით მიცვალებულის სამუდამო განსასვენებელ ადგილამდე მიტანასა და დაბინავებასაც კი. ახლობლებსა და ოჯახის წევრებს, რატომღაც, ამ ფორმალობის განსახორციელებლად ზედმეტი დროის დაკარგვა საჭიროდ აღარ მიაჩნიათ. ჩვენი ლიმუზინის შავკანიანმა მძღოლმა, როგორც იქნა, ამაგლიჯა ირენის კუბოს და სრული ადმინისტრაციული წესების დაცვით, ისევ მანქანაში ჩამსვა. ჭირისუფლების კოლონა თვალს კარგა ხანია, მიფარებოდა და ჩარლზმა, ალბათ, პროფესიონალის უტყუარი ალლოთი თუ გაიგნო გზა ჯერ ერთფეროვანი საფლავებიდან, მერე კი – სამანქანო მაგისტრალიდან და, კვალში ჩამდგარი მწვეარივით, პირდაპირ რესტორანს მიადგა.

მეორედ მაშინ გავვოცდი, როდესაც რესტორანში გამზადებული ჭირის სუფრა ვერსად შევნიშნე. კარგა ხნის ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, ყავა მოგვართვეს. მოგვიანებით კი, შეკვეთის მისაღებად ოფიციალტიც გამოგვეცხადა. მე, ყოფნა-არყოფნის მარადიულ საკითხზე ღრმად ჩაფიქრებულს, იქიდან წამოსვლის სურვილი გამიჩნდა.

ერთმა მსუქანმა ქალბატონმა, დამსწრე საზოგადოების უმრავლესობის მსგავსად, ნასუფრალი თეფში ოფიციალტს შინ წასაღებ პაკეტად გადააკეთებინა... იქ რაღა გამაჩერებდა! დანა პირს არ მიხსნიდა, აღარც ჭამა მინდოდა, აღარც – სმა... გზაჯვარედინზე ღვთის ანაბარად მიტოვებული მიცვალებული გონებიდან არ მშორდებოდა.

ბოლოს და ბოლოს, თავი დავიძვრინე, გარეთ გამოვვარდი და ზეცას ავხედე.

– არა, ბატონო, აქ დარჩენას ნამდვილად არ ვაპირებ... საქართველოში, ჩემი წინაპრების გვერდით, იქ უნდა დავიმარხო!

მარიკა ბაქრაძე – ჟურნალისტი, აღმოსავლეთმცოდნე

2018 წლის 26 ნოემბერს, ხცისის ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მურად მთვარელიძეს. ბიბლიოთეკის ნორჩმა მკითხველებმა მწერლის ბიოგრაფიისა და ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ ისაუბრეს და წაიკითხეს მისი ლექსები.  
„დღევანდელი დღე გამორჩეულია ჩემთვის, რადგან ხცისი ჩემი დედუღეთია, მამაჩემის ფესვებიც აქედან არის.“ – აღნიშნა მწერალმა. საღამოს ხაზურის ინტელიგენციის წარმომადგენლები და შემოქმედი ადამიანები ესწრებოდნენ.

## გოდრიდან დანახული სამშობლო

ხუთი წლისა ჯერ არა ვარ, ოთხსა და ხუთს შუა ვდგავარ, ერთი გაცრეცილი, პატარა ბიჭი. მიხარია, – პაპა გამოვიდა სოფლიდან და დედას ჩემი გატანება სთხოვა. დედა ჯერ შეეყოყმანდა, მამაჩემის მოსვლამდე გაუჭირდა გადაწყვეტილების მიღება, მაგრამ მაინც დაეთანხმა.

– ჰაერს გამოიცვლის, – ამბობს პაპა, – მოფერიანდება. შაბათ-კვირას თქვენც მოხვალთ და თუ ენდობება, უკან წამოიყვანთ.

მე პაპასთან და ბაბოსთან ყოფნა მიყვარს. ღამე პაპასთან ვნევი. პაპას თეთრი საცვლები აცვია და თვითონაც სულ თეთრია, დიდი თეთრი უღვაშები აქვს და იმ უღვაშებში ისეთი ჩაცმულობა იცის, ძალაუნებურად, შეგიყვარდება. პაპა ძილის წინ ზღაპრებს მიყვება და მეც ათასი შთაბეჭდილებით ვივსები. ამიტომაც მიხარია სოფელში წასვლა.

სოფლამდე საათზე ცოტა მეტის სავალია. ფეხით მივდივართ, ნელა-ნელა. ხან მე გავუსწრებ პაპას, ხან ის დანინაურდება და მე, კვიცივით უკან მივდევ, ხანაც ხელიხელჩაკიდებულნი მივდივართ და ვლაპარაკობთ.

პაპა მეც ისე მელაპარაკება, თითქოს დიდი ვიყო და ეს ძალიან მსიამოვნებს.

მტკვარზე ბორნით უნდა გადავიდეთ. ბორანი ძალიან მიყვარს. ამიტომ, სოფლამდე გზას ორ ნაწილად ვყოფ – ბორნამდე და ბორნის შემდეგ. ბორნამდე გზა უფრო გრძელი და დამღლეულია, ამიტომ პაპა ცდილობს, ლაპარაკში გამართოს.

ბორანი ნელა მიცურავს. მებორნე ერთი მაღალი, გამხდარი კაცი, იოსებას ეძახიან. იქვე, მტკვრის პირზე პატარა ქოხი აქვს. იქ ცხოვრობს. მარტოხელაა. დაუძახებენ, გამოვა, გაიყვანს მგზავს. კარგ ამინდში ქოხის წინ ზის და დაძახებაც არ არის საჭირო, ყველაფერს ხედავს.

ჩვენც დაგვიანება, ბორანზე ავიდა, ღვედები აუშვა და ბორანმაც ნელ-ნელა დაიწყო მტკვრის ტალღებზე სრიალი.

მტკვარი დიდი არ მოდის. ზაფხულია. ამიტომ, მებორნე ორთავივრებს ნელ-ნელა უსვამს და ბორანს ჩვენკენ მოაცურებს.

– გამარჯობა, ვანო, – ესალმება მებორნე პაპაჩემს, – ეს ვაჟკაციც მოგყავს? – მილიმის მებორნე.

ბორნიდან მტკვრის ჩქერალებს ჩაცეცქერი.

– თვალები აგიჭრელდება, – მაფრთხილებს პაპა, მაგრამ მე არ ვიშლი. ბორანზე არ მეშინია, კონწილა ხიდი ხომ არ არის, რომ გადავვარდე. აქ ვზივარ, მოაჯირს ვეყრდნობი და მტკვარს ისე ჩავყურებ. თვალები, მართლაც, მიჭრიალებს, მაგრამ თითქოს ესეც კი მსიამოვნებს.

ბორანი ნაპირს მიადგა. გადმოვივარდი. მტკვრის ნაპირიდან არცთუ შორს ერთი დიდი ფერდობია, იმას ავივლით, მერე პურის ყანაში დაქნილ ბილიკს გავყვებით და ჩვენს სახლს მივადგებით.

ცოტა ვიარეთ და ვხედავთ, გოდრიანი კაცი მოდის, პაპაჩემის ბიძაშვილი ლექსო პაპაა.

– შენც აქ ყოფილხარ? – ხარობს ჩემს დანახვაზე ლექსო პაპა და თავზე მკოცნის. მერე პაპაჩემს მიუბრუნდება.

– ე, ბავშვი, სულ ფეხით ატარე?

– აბა რა მექნა, არც ურემი შეგვხვდა და არც მანქანა, – თითქოს თავს იმართლებს პაპა.

– მოიცა, – ამბობს ლექსო პაპა და ზურგიდან გოდორს იხსნის, ძირს დგამს, მერე მე ამიტატებს ხელში, გოდორში მსვამს და პაპაჩემს ეუბნება: – მოდი, მომკიდე!

პაპა გოდორის მოკიდებაში ეხმარება. ლექსო პაპა მხრების თამაშს იწყებს და გოდორის სახელურებს ისწორებს, მერე კი პაპას თავით ანიშნებს – წავედითო.

მიდიან, მისაუბრობენ. მე ზურგით ლექსო პაპას ზურგს უკან ვარ მოკალათებული, ხელები გოდორისპირზე მიდევს და მარტო თავი მიჩანს.

ტკბილად საუბრობენ. აღმართზე ბერიკაცურად, ნელ-ნელა ადიან. ხან შედგებიან, ცოტას შეისვენებენ, ისევ აგრძელებენ გზას.

ზაფხულის კრიალა დღეა. ცა მოწმენდილია, ლურჯი და გამჭვირვალე... მე სულ მაღლა და მაღლა მივიწევი და, ჰოი, საკვირველებავ! – აღმართის ავლას აღარაფერი აკლია, რომ ვხედავ, ჩემს წინ მთელი მტკვრის ხეობა გადაიშალა. შორს კი – თოვლიანი მწვერვალები.

– პაპა, რა ლამაზია! – ვყვირი მე.

– რა? – უკანმოუხედავად მეკითხება პაპა.

– გაიხედე, – ხელით პაპას თავზე ვეხები და მწვერვალებისკენ ვახედე.

– ღმერთო, დაილოცოს შენი მაღლი, მართლა, რა ლამაზია, – გაოცებას ვერ მალავს პაპა, – თითქოს პირველად ვხედავდე, კაცოო! – მიმართავს ლექსოს, – ამ ბაღშია როგორ შენიშნა ეს სილამაზე?!

პაპაჩემის აღტაცებულ სიტყვებზე ლექსოც ტრიალდება, ოღონდ ნახევრად, ისე რომ ისიც და მეც ვუყურებთ ამ სილამაზეს. ლექსო პაპა ერთხანს მდუმარედ გაჰყურებს სივრცეს და ცოტა ხნის შემდეგ დინჯად ამბობს:

– აი, ესაა ჩვენი სამშობლო!..  
მერე ორივე ბერიკაცი პირჯვარს იწერს და, ცოტა ხანს, ასე უხმოდ უყურებენ შორს, თეთრად მოღვარე მწვერვალებს. დუმის ლექსო პაპა არღვევს, პაპაჩემს ღიმილით ეუბნება:

– ეს ბიჭი, ე მანდ, მწერალი კი არ გამოვიდეს, ხო იცი...  
პაპაც იღიმება და თითქოს თავისთვის ამბობს:  
– ღმერთმა ინებოს!

მოსუცები ახლა უხმოდ მიაბიჯებენ. შიგადაშიგ ოხრავენ. მე, რა თქმა უნდა, ვერ ვიგებ, რატომ შეეცვალათ ხასიათი, ჩემთვის ვზივარ გოდორში და გავყურებ ამ სილამაზეს – დღეიდან ჩემი სამშობლო რომ ჰქვია.

მურად მთვარელიძე

